№ 98, მაისის 11, შაბათი. 1866—1885 მაისის 11, შაბათი. № 98.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50[illegible] ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის [illegible] ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

## „დროების“ ფასი მაისის პირველიდამ წლის დამლევამდე 7 მანათი; სოფლის მასწავლებელთათვის 5 მანათი.

## სამზარელი მკვლელობა
### ევსტატე მჭედლიძისა.

ხუთშაბათს დილით შემდეგი ტელეგრამა მოგვივიდა ქუთაისიდამ: „საშინელი ამბავი: გუშინ დილის რვა საათზედ მოჰკლეს ღალატით პატიოსანი მშრომელი ევსტატე მჭედლიძე“.

ამ ამბავმა თავს ზარი დაგვცა, მით უფრო რომ სრულიად მოულოდნელი იყო. ყველანი, ვინც-კი იცნობდენ ამ პატიოსნებით აღსავსე ყმაწვილკაცს და ნიჭიერ მშრომელს, რომელმაც სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის უმალვე მიიქცია მკითხველების ყურადღება,—ღრმა მწუხარებით ჰკითხულობდენ: რად? როგორ? როდის? რისთვის?

ტელეგრამის შემდეგ მოგვივიდა ეს მოკლე ამბავი:

„გუშინ, მაისის 8-ს, მოჰკლეს მდივანი იმერეთის ეპისკოპოზისა ევსტატე მჭედლიძე. დილის 8 საათზე მიმავალებულა სამსახურში და როცა მთას შეუდგა (მიცვალებული გამოღმა იდგა), მიეწია უკან ვიღაც ცხენოსანი, გახვეული ნაბადში და ყაბალახში და რევოლვერი ესროლა. ტყვიამ ზურგიდამ ფილტვებში გაუარა და რამოდენიმე საათის შემდეგ გარდაიცვალა. იმ დროს მიცვალებულთან ერთად მიდიოდა ორი მღვდელი. დამნაშავე არ დაუჭერიათ“.

ამ მოკლე ამბავს მოჰყვა საკმაოდ ვრცელი კორესპონდენცია, რომელსაც აქვე ვბეჭდავთ:

„გათენდა რვა მაისი. მშვენიერი დილა სრულებით არ გვიწინასწარმეტყველებდა რაიმე უბედურს შემთხვევას. მაგრამ ამოვარდა მგაცრი ქარი. ქუთაისის ქუჩებში დადგა საშინელი მტვერი. ეს შფოთიერი ქარი შეიქმნა საშინელი უბედურების წინამორბედი: ქუთაისის ძველ ნაწილში, სასულიერო სასწავლებლის მახლობლად, გაიგრიალა თოფის ხმამ და იმსხვერპლა ერთი ჩვენი საუკეთესო ახალგაზდა შვილი, პატიოსანი და მედგარი მშრომელი. დიაღ! ჩვენ დავკარგეთ ევსტატე მჭედლიძე! გაზეთის „შრომის“ ბოსლეველი და „დროების“ „გარეშე მაყურებელი“. დავკარგეთ იმ დროს, როდესაც ბევრს რაიმეს მოველოდით მისის ნიჭისაგან, ის დავკარგეთ და ბოროტი მკვლელი-კი თავისუფალია: იგი გაქრა ჯერ-ჯერობით მართლ-მსაჯულობას, გაიქცა, დაიკარგა, უგზო-უკვლოდ, თითქო დედა-მიწამ ჩაჰყლაპაო!

ჩვენ უნდა ვიწუხოთ, თორემ დაუვიწყარი ევსტატეს სული წმინდაა, უმანკოა. მაგრამ ჩვენ ვინღა გაგვაგონებს იმის ნაღველით სავსე სიმართლიან სიტყვას?! გაუქმდა კალამი, რომელიც მარად სიმართლეს სდევდა, გაუქმდა უდროოდ, ძალდატანებით. მოკვდა იგი, გაიგმირა ბოროტის ხელისაგან! ხოლო ანდერძად დაგვიტოვა, რომ იგი არის წამებული პატიოსნებისათვის. მან გვიჩვენა მაგალითი, რომ მეცხრამეტე საუკუნეშიაც ბოროტება სვრის ტალახში პატიოსნებას. მე არ განვარჩევ, თუ რა მიზეზებისათვის დაანთხიეს ეს უმანკო სისხლი, ან ვიზეა ეჭვი; არ შევეხები მსხვერპლის პირადობას და მნიშვნელობას, ეს უფრო დახელოვნებული კალმის საქმეა; ხოლო გავათავებ ფაზელის სიტყვებით:

„სამშობლოს თვისის უმჯობესსა შვილს
„ხალხი მტრობს, სდევნის, ეზიზღება, სძულს.“

ალიხუბნელი.

კორესპონდენტის სიტყვებს ჩვენ შეგვიძლია ამ ჟამად დავუმატოთ ის, რომ ასე უდროოდ და უბედოდ მილებული ჩვენი თანამშრომელი შემდეგ თბილისის სემინარიის შესრულებისა რუსეთში იყო წასული უმაღლესი განათლების მისაღებად და დიდს სიღარიბეში და გაჭირვებაში დაჰყო ჩრდილოეთში რამოდენიმე წელი. იქ კავკასიელთა სტუდენტთა ყრილობაში, როგორც გაგვიგონია იმის ამხანაგებთაგან, თავი მოლაპარაკე და სანდო კაცი თურმე იყო განსვენებული. სამშობლო ქვეყანაში დაბრუნებულის ნიჭს ღირსეულმა იმერეთის ეპისკოპოსმა ყურადღება მიაქცია და მდივნის თანამდებობის აღსრულება ჩააბარა. ამ თანამდებობაზე დანიშნვამ, მკითხველებს ეხსოვებათ, რა დიდი შური და ყაყანი აღძრა იმ მოხელეთა წრეში, რომელთაც უნდდათ ამ ვითომ შემოსავლიანი ადგილის ხელში ჩაგდება. რამდენი უსახელო და სახელიანი დაბეზღება გამოიგზავნა იმ დროს სინოდის კანტორაში, თუ ექსარხოსთან განსვენებულის წინააღმდეგ. ცოტა ხანს იყო განსვენებული ამ ადგილზე, მაგრამ, პოეტის თქმისა არ იყოს, თავისი გავლის „ბეჭედი“ დაასვა ერთს საზიზღარ ჩვეულებას, რომელიც ბევრის ხნიდამ არსებობს თურმე ამ კან-

## ჭრელი ფელეტონი

მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ—ქუთათურებს სალაყბო საგანი მოგვეცა. თქვენი მტერია, რომ წელიწადში მაისის თვე არ იყოს, ღრმა ძილს მივეცემოდით მართალია, მარტო ჩვენ არ ვიქნებოდით ძილის გუდად, მაგრამ სანუგეშოს აქ ვერას ვნახავდით. ისევ იმას ვამჯობინებდით, რომ მარტო ჩვენ—ქუთათურებს დაგვძინებოდა და სხვას-კი სიფხიზლე არ დაეკარგა. ბევრს ჰგონია, რომ ეს ძილი დროებითია, რომ იგი ნიშნავს მხოლოდ დაღალულობას, და რომ ეს დაღალულობა გაივლის,...

***

ჰო, იმას ვამბობდი, რომ მაისის თვემ სალაყბო საგანი გაგვიჩინა-მეთქი. მერე რა სალაყბო საგანი: სადაც უნდა გაჩნდე, ყველგან ერთსა და იმავეს გაიგონებ,—გუბერნიის მარშალი ვინ იქნებაო, ნეტავი ბანკის დირექტორობის სავარძელი ვის ჩაუვარდება ხელშიო. ეს გახლავთ ქუთაისში „ვარამი დღისა!“ ამ ორმა კითხვამ მთლად დაგვავიწყა ყველაფერი: ხოლერა, ჟამი, ყვავილი, მოსალოდნელი ომი და სხვ. და სხვ. ასე წარმოიდგინეთ, რომ ყურებისა და ენის მეტმა ყველა ჩვენმა ორგანოებმა (ვითომ?!) დაჰკარგეს გრძნობის ნიჭი. ამას წინად რომ გაგევლო ქუჩებში, ყველგან სიბინძურეს დაინახავდი; ყოველის მხრიდგან მყრალი სუნი გეცემოდა ცხვირში და დამთვრალსავით წაგაბარბაცებდა; რიონის ნაპირებისაკენ რომ გარდაგეხედა, ნაკელს ზვინებივით დაინახავდი; ასე წარმოიდგინე, რომ ბულვარში რომ შესულიყავი, რა დროსაც უნდა ყოფილიყო, ორ-ფეხა მოსიარულეთა შორის ნახავდი ძაღლების ხროსაც, და თუ მანდილოსანი კავალროსანთან ხელებ-გადაბმული დასეირნობდა, ისინიც თავისებურად, რაღაცა მანქანებით, გადაკოწიწებულნი არხეინად და დინჯად დაბრძანდებოდენ, თითქო ისინიც მოქალაქენი იყვნენ!.. ახლა კი სულ სხვა არის! დადიხარ, მაგრამ ვეღარაფერს ვეღარ ხედავ და არავითარი მყრალი სუნი შენს ყნოსვას აღარ აწუხებს. მაგრამ მიტომ კი არა, რომ ვითომც ქუჩები დაეწმინდოსთ, რიონის ნაპირებზედ ნაკელი აღარ მოიპოვებოდეს და ან ძაღლები გადაკოწიწებულნი აღარ დასეირნობდენ ბულვარში; სულაც არა! ეს სულ მიტომ, რომ ამათთვის ახლა ჩვენს თვალებს და ჩვენს ყნოსვას არ სცალიან. ჩვენ ვხედავთ მხოლოდ სამარშლოს, სადირექტოროს და კენჭოსანს; ჩვენ გვესმის მხოლოდ მაშინ, როდესაც სამარშლოზე, სადირექტოროზე და კენჭოსანზე ლაპარაკობენ. ეს არის და ეს!..

***

მაგრამ აქაც ცოტა ცვლილებას ვხედავთ წარსულს წლებთან შედარებით. თითქო ის მოძრაობა, ის მიხეთქ-მოხეთქება, მითქმა-მოთქმა, გაძრომ-გამოძრომა აღარ არისო, წინედ რომ გვინახავს! რატომ,—ძნელი გამოსაცნობია, თუმცა კი ყველა თავისებურად განმარტებს. რამდენად ჭკუასთან ახლოა, არ ვიცი და მოგახსენებთ-კი, რომ აქაურს ვაჭრებს და სასტუმროების პატრონებს თითქო ალაპის გარდახდა განეზრახოსთ ნეტარ-ხსენებულის ნახირ-ფაშის სულის მოსახსენებლად. მაშინ დავილუპენით, როდესაც ჩვენი მოწყალე ნახირ-ფაშა გადაგვეელოვო, ამბობენ თურმე თავის ქნევით ჩვენი ვაჭრები და სასტუმროს პატრონები: ამდენი ურდო თავად-აზნაურობა რომ მოეშურებოდა ქუთაისისაკენ, სულ იმის ხარჯით იყოვო, თორემ, აბა, ჯიბეშემომწყრალ კენჭოსნებს ქუთაისში როგორ ამოაყოფინებდი თავსაო?!.. აღარც მასპინძელია და აღარც სტუმრები მოდიანო! და არც სულ ტყუილი უნდა იყოს, თუ, შენც დამეთანხმები, მკითხველო! აბა, რატომ იყო, რომ წინედ კენჭობიის დრო კიდევ არ დამდგარიყო, რომ სასტუმროები გატენილნი იყვნენ კენჭოსნებით, რომ მთელს სახლებს ქირაობდენ იმავე კენჭოსნებისათვის და შიგ მეჯლისებს მართავდენ?!.. ზოგსაც კიდევ ამგვარი განმარტება კეთილშობილთა დამამცირებლად და უსამართლოდაც მიაჩნია და მიზეზს სულ სხვაგან ეძებს. ამბობენ,—სამარშლო კაცი რომ არავინ არის, აბა, ვის ამოსარჩევად შეიკრიბონ ქალაქშიო და იმის ამოსარჩევად, ვინც უკვე მარშლად ცნობილია დღეს, რად დაიხარჯებიანო, როდესაც ჩიტი ბდღვნად არა ღირსო!..

***

მკითხველო! რომელი განმარტებაც გინდა, შენ ის მიიღე, მაგრამ კარგად დაუფიქრდი კი საქმეს, გულზე ხელი დაიდევი და უთხარი კენჭოსნებს და მთელს ქვეყანას: აჰა, კაცი და წინამძღვრად გამოგადგებათო!.. სული არ წაიწყმიდო კი!.. მე რა ვჰქნა ჩემო კარგო, ცოტა გული მეწვის ხოლმე, როდესაც თვალს ვავლებ იმ წოდებას,

ცელიარიაში, როგორც თვით გაბრიელ ეპისკოპოსმა აღიარა ერთს თვისს სიტყვაში. ჩვენ ვამბობთ ანგაარებას მოყვრარეობას. იმან გამოაშკარავა საყოველთაოდ როდესაც ერთმა დ—მა, ქრთამი შეაძლია იმას. ამ გამოაშკარავებას თავისი ზნეობითი გავლენა უნდა ჰქონოდა იმერეთის სასულიერო წრეში.

დიდად სამწუხარო იქნება ამ ყმაწვილი კაცის სიკვდილის ამბავი პატიოსანის იმერეთის სამღვდელოებისათვის. დიდად შეაწუხებდა იგი თვით ღირსეულს გაბრიელ ეპისკოპოსს. იმ დენადვე სამწუხაროა იმისი სიკვდილი ჩვენი მწერლობისათვის, სადაც მისს კალამს ეჭირა არა უკანასკნელი ადგილი. ჩვენ არც ისე მდიდარნი ვართ, რომ ამ გვარი კაცის დაკლება საგრძნობელი არ იყოს ჩვენთვის. ამ ორი დღის წინად მივიღეთ მისგან უკანასკნელი ფელტონი ჩვენს გაზეთში დასაბეჭდად. გვწერდა შაბათის ნომერში დაბეჭდინეთ უთუოდ ეს ფელტონიო და დღევანდელს ნომერში ვასრულებთ უკანასკნელს მისს სურვილს. თითქო წინად გრძნობა ჰქონდაო განსვენებულს იმ საშინელის ბედისა რომელიც უნდა სწეოდა იმას იმ ორ-სამ დღეში, რომელიც მოსდევდა ფელტონის დაწერას. თითქო წინ-და-წინ დაუნახავს მას ის „ხანჯლიანი“ და „ნაბდიანი“ მხედარი, რომელსაც ბოლო უნდა მოეღო იმის არსებობისათვის!

## შინაური ქრონიკა

*** სასიამოვნო სანახავს წარმოადგენდა ჩვენი ბულვარი ოთხშაბათს დილით: ამ ჟამად თბილისში მყოფი მილიცია უნდა დაეხედნა მთავარ-მმართებელს და მრავალი ხალხი მოგროვდა ამ ჩინებულის ჯარის სიმკვირცხლისა და გაწვრთნილობის სანახავად. მილიციამაც არ გაამტყუნა მაყურებელთა იმედი და ძველთაგანვე დამსახურებელი სახელი. თუმცა ას კაცზე მეტი მხოლოდ თვენახევარია რაც მილიციაში ირიცხებიან და რასაკვირველია, სრულიად უსწავლელნი და გაუწვრთნელნი ჩაწერილან, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაში ისე გავარჯიშებულან ყოველ გვარს სამხედრო საქმეში, რომ მათნი მაყურებელნი აღტაცებაში მოიყვანეს. თვით მთავარ-მმართებელი გადაეხვია მათს კომანდირს თ. ა. ერისთავს, გულითადი მადლობა უთხრა და უბძანა, რომ თითო კაცისათვის ნახევარ-ნახევარი თუნგი ღვინო მიეცათ საჩუქრად.

*** როგორც გვწერენ ძირულიდამ იქ, მაისის, 7-ს ღამის 2 საათზე, გასჩენია ცეცხლი სტანციის მახლობლად დუქნებს, რომელთაგან თერთმეტი სრულიად დამწვარა. ცეცხლი მეტის-მეტად გააზვიადა ალმოსავლეთის ქარმა და ნავთმა, რომელიც თურმე ბლომად ყოფილა შენახული დუქნებში. არც ერთი დუქანი არ იყო შეტანილი მზღვეველ საზოგადოებაში და ბევრნი მოვაჭრეები სრულიად მოაკლდენ თავიანთ ქონებასაო. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა ჯერ-ჯერობით არ იციან ნამდვილად: ზოგი ადებს ბრალს გაუფრთხილებლობას, ზოგი კი ბოროტ-განზრახულებასო.

ცეცხლის გაქრობაში დიდი მონაწილეობა მიიღეს ყველა რკინის გზის მოსამსახურეებმა და განსაკუთრებით სტანციის უფროსმა, რომელიც თვითონ მართავდა ცეცხლის მქრობ წყლის მაშინას

*** გორის მაზრის ოსეთის სოფ. ჭვრივში გავრცელებულა საშინელი ავადმყოფობა, რომლისაგანაც მრავალნი იხოცებიან თურმე. ავადმყოფობის ნიშნები შემდეგიაო: კაცს ჯერ საშინელს სიცხეს მისცემს, შემდეგ ენა „გაუშავდება“ და სკდება, ამის შემდეგ ყელი უსივდება და ავადმყოფი კვდება. ნეტავ რას აკეთებენ ცხინვალის ექიმი და ორი ფერშალი? ნუ თუ მათი მოვალეობა არ არის ამ ავადმყოფობას ყურადღება მიაქციონ?

*** მაისის 9-ს საღამოს 5 საათიდან დაწყებული 7 საათამდე აკლიმატიზაციურ ბაღში დაპირებისამებრ უჩვენებდენ მსურველებს, როგორ უნდა შეეყაროს გოგირდი დანაცრულ ვაზებს; აგრონომი ბ. ზეევსკი დაწვრილებით უხსნიდა ყველას ამ წამლის მნიშვნელობას და ხმარებასა, რასაც დიდი საქმე არა ნდომებია – ამას მოახერხებს ყოველი სოფლელი მუშა: წამალს, აყრიან უბრალო საბერველით. მოყრა ნდომებია ორჯერ: ერთჯერ მაისში, როცა ვაზი ყვავის და მეორედ თიბათვეში, როდესაც მარცვალი ცერცვის ოდენა შეიქნებაო, და თუ კიდევ გაჩნდა ვენახში ნაცარი, მაშინ მარტო დანაცრულ მტევნებზედ მოაყარეთ წამალიო. ეს წამალი სამუდამოდ ვერ ჰსპობს ნაცარსა, ამისათვის იგი უნდა ყოველ წელიწადს თავ-თავის დროზედ [illegible]საო. თუ არა [illegible] სინამდვილეო, ამბობდა ბ. ზეევსკი, ჩამოდით აგვისტოში თბილისში და დასარწმუნებლად ნახეთ აქაური ნემეცების ვენახებიო; იმ ვენახებში, სადაც უხმარიათ ეს წამალი, ხსენებაც არ არის ნაცრისაო, და სადაც არ უხმარიათ, ისინი სულ დაღუპულები არიან ხოლმეო. თუ მოვიგონებთ იმას, რა დიდს ზარალს აძლევს ნაცარი ვენახებს, არც ძალიან ძვირად ჯდება ამ წამლის ხმარებაო, დესეტინის მოყრას მოუნდება სულ, ყოველი ხარჯი რომ ჩავაგდოთ, 27 მანეთი; წამალი იყიდება თბილისის სამეურნეო საზოგადოებაში ფუთი 2 მან. და 50 კ. და წამლის შესაყრელი საბერველიც თითო 1 მანეთად. იქვე მუქთად ურიგებენ დაწვრილებით დარიგებას ამ წამლის ხმარებაზედ, რომელიც გამოუცია სამეურნეო საზოგადოებას ქართულს ენაზედ.

იმ საღამოთივე უჩვენებდენ აკლიმატიზაციურ ბაღში აბრეშუმის ჭიის სამაგალითო მოვლას.

*** „კავკაზში“ სწერია, რომ განჯის გუბერნიის ზოგიერთ ადგილებში, სახელდობ ნუხის, შუშის, განჯის და ჯიბრაილის მაზრებში გაჩენილა კალია. ადგილობრივს ადმინისტრაციას მიუღია ზომები ამ მწერის გასაწყვეტად.

---

რომელმაც ქვეყანას წინამძღვარი უნდა მისცეს. ჩვენში ცოტა შეცდომა, ან და გაუგებლობა არსებობს სხვა-და-სხვა წოდებათა შესახებ. ეს გაუგებლობა იქიდგან წარმოსდგება, რომ ჩვენი ტვინი ჩვენებურს ყალიბზედ როდია ჩამოსხმული, ჩვენი ტვინი ჩვენებურად როდი ჰფიქრობს და განსჯის, ჩვენის ცხოვრებიდგან როდი იღებს მასალას მსჯელობისას; არა, სულ სხვა გარემოება, სხვა ცხოვრება, ეფარება ჩვენს ტვინს, როდესაც იგი მოძრაობაში მოდის. თვითოეულს წოდებას კი არა, თვითოეულს წრეს თავის საკუთარი სამზრუნველო აქვს და თავის საკუთარის ორგანიზმის საჭიროებანი?!

***

დიაღ, ჩვენ ყველას, რომელს წოდებასაც უნდა ვეკუთვნოდეთ, ქვეყნისათვის სულ ერთია, დღეს ძალაუნებურად ერთი სამზრუნველო გვაქვს, ერთი დარდი, ერთი მწუხარება უნდა მოიკავებდეს მთელს ჩვენს არსებას და ასეც არის, მხოლოდ ამას ერთი ცნობიერად გრძნობს, ერთს ცხადად ესმის, მეორე კი ბუნდად, ინსტინქტიურად ბანს იძლევა...

***

ეს რომ ვიცი, მიტომ მტკივა-მეთქი გული, როდესაც ეხლანდელს ჩვენს თავად-აზნაურობას, —და სიტყვაზედ ვიტყვი, —სამღვდელოებას ვხედავ. უბრალოდ კი არ გითხარი, ჩემო მკითხველო, სული არ წაიწყმინდო წინამძღომლის ჩვენების დროს-მეთქი!.. თვითონ საზოგადოება ზღვა არის; მაგრამ ზღვა ხომ ყოველთვის წყნარია, თუ ქარი არა, სიო მაინც არ დაიძრა! ასე არის ყოველ-დღიურს ცხოვრებაშიაც, —საჭირო არის, მდაბიურად ვსთქვათ, მოწინავე. ჩვენში წინედ მოწინავე თავად-აზნაურობა და სამღვდელოება ყოფილა. და თუ ეს დანიშნულება კეთილად უტარებიათ, ხმა და სახელიც ჰქონიათ...

***

ყველა ეს მაგონდება, როდესაც მეუბნებიან,—აბა, მოგვეცით იმისთანა კაცი, რომ წინამძღოლად გამოგვადგესო? და მერე ნეტავი არ გვეჭირვებოდეს მაინც წინამძღოლი?! თუ გვეჭირვება, ახლა გვეჭირვება! გამიგონია, ვითომც ვილაც მონას განეზრახოს,—მოდი ერთი გავიგებ მაინც ჩემი ბატონი მტანჯავს, თუ მისი მოურავიო. მაგრამ გაგებასაც ხომ მოხერხება უნდა, კაცი უნდა... და სად ვეძიოთ ეს კაცი, თუ არა ისევ თავად-აზნაურობაში, რომელსაც მინიჭებული აქვს გაგების, უფლება მაინც.

***

აცილდა, მკითხველო, პაცხის ზარბაზანი, როგორც მე ქარვანს ავცილდი! საიდგან სად გადავედი!.. პენჯობია არის მეთქი, ვამბობდი, ივანე-სამების მადლი გამიწყრეს, თუ ვიცოდე, რომელს ივანეს დარჩება ბურთი და მოედანი ბანკის სარბიელოზედ. სამივეს კი აქვს მუქთად ჭამის სალერღელი აშლილი. ვითომ რატომ არა! რომელს სამსახურშიაც უნდა შეხვიდე, რომელი საქმეც უნდა აიღო, ყველგან შრომა უნდა, ყველგან თავის დანიშნულს დროზე უნდა მისვლა, რამოდენიმე საქმის გაკეთება და დანიშნულს დროზედ შინ დაბრუნება. ჩვენს ბანკში სამსახური კი სხვა არის; აბრძანდი სარეცელიდგან, როცა წოლა მოგბეზრდეს; ჩაი მიირთვი, როცა უფრო გესიამოვნებოდეს, სამსახურისაკენ გაისეირნე, როცა შენი კეთილი ნება იყოს, იმდენ ხანს იკითხე ჟურნალ-გაზეთები, სანამ არ მოგეწყინოს და თუ მოგეწყინოს, სადაც შენი ქეიფი იყოს, იქ გაისეირნე, იქ დაუკაკუნე კოდალასავით და როცა შენმა პატივცემულმა სტომაქმა სანოვაგე მოითხოვოს, „სახედ თვისა“ მიიქეც და „შენ მოსცი მათ საზრდელი ყოველსა ჟამსა“. თავის ორგული უნდა გამოვიდეს კაცი, რომ ამისთანა ადგილის მოპოებისათვის კენჭოსნები სანთლით არ ეძიოს! და კიდეც ეძებს ივანე-სამება ამ კენჭოსნებს და თვითოეული პირი ამ სამებისა ეძებს თავისებურად... ღმერთმა გამარჯვების ღელოზედ გაიყვანოსო, ვინც მათში მუქთი ჭამის უფრო ღირსი იყოს. მხოლოდ ნუ დგებიან ქვეყნის წაბილწვის ცოდვაში, თავის (უკაცრავად) ბინძურის გულის-თქმისათვის, ნუ რყვნიან საზოგადოებრივს ზნეობას და ცოდვილებს ნუ აძლევენ საბუთს, რომ ახალ-გაზრდობა, სწავლა-განათლება ახალ-გაზრდობისა სწავლა-განათლების დამამარცხებელ იარაღად მოიხმარონ?.. იქონიონ სირცხვილ-ნამუსი, თუ კი სირცხვილი მათთვის შჩედრინის „ბუზად“ არ გამხდარა!..

გარეშე მაყურებელი

ევსტატე მჭედლიძე.

## დაბა შუა აზიაში

◆◆ დღემდის ბევრს იწერებოდენ გაზეთები მაზედ, რომ ემირი არ გაატარებს ინგლისის ჯარებს თვისს სამფლობელო-ავღანზეო; ემირი ეუბნება ინგლისს, —გვაცნობებდენ გაზეთები, —შენ ჩამომეთხოვეო, მე გავუსწორდები მას, ვინც ჩემს სამფლობელოს შეეხებაო, მე გავამაგრებო ჩემს ციხეებს, ჩემს ჯარს დავუყენებ წინ მტრის ჯარსო. —ასე იწერებოდენ გაზეთები და უმეტესად ნემეცური გაზეთები, რომელთა პოლიტიკური მანქანება მალე გამჟღავნდა: მოდავეთა შორის ნემეცური გაზეთები წამქეზებლობით როლსა თამაშობდენ დღემდის და ეხლაც ამავე როლს ასრულებენ. მაგრამ გაიარა დრომ და ეხლა სიმლიდამ აცნობებენ Daily News-ს, რომ ემირი ავღანისა აბდურაჰმანი, როგორც-კი დაბრუნდა ქაბულს, იმ წამსვე გასცა ბძანება, რომ ჰერათის გამაგრებისათვის ხელ-მძღვანელებად მოწვეულ იყვნენ ინგლისელი აფიცრები. ჰერათშივე მოკლეს ხანში მიელიანო ბრიტანიის სამხედრო ინჟინერებს. ემირმა მიიღო კიდეც ინდოეთის მმართებლობისაგან დაწერილებითი გეგმა ჰერათის გამაგრებისათვის. „მაგრამ რუსის მმართებლობა ეწინააღმდეგებაო ასეთს განკარგულებას ემირისას, როგორც გაზ. Times-ს სწერს ვენელი კორესპონდენტი. ამ მმართებლობას წინადადება მიუცია ბრიტანიის კაბინეთისათვის, რომ ამან აღუკრძალოს ინგლისელ სამხედრო ინჟინერებს ხელ-მძღვანელობა ავღანის მოსამზღვრე ციხეების შეკეთებისათვის. ავღანელი ინჟინერები ერთობ კოჭლობენ თვის ხელობაშიო და რაკი რუსები ეწინააღმდეგებიან ინგლისელ ინჟინერების ხელ-მძღვანელობას ციხეთა გამაგრებაში, მაშ ვის უნდა მიმართოს ემირმაო, დასძენს კორესპონდენტი. იქნება ეს გარემოება შეიქმნეს ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი უთანხმოებისა.“

◆◆ ინგლისის ოპოზიციურს გაზეთებს ბანს აძლევენ ინდოეთის თითქმის ყველა გაზეთები. ესენიც, როგორც ინგლისის ოპოზიციური გაზეთები, ჰკიცხვენ გლადსტონის სამინისტროს, ამის სისუსტეს, გაუბედაობას, ენერგიის ნაკლებულებას, „დათმობით პოლიტიკას“. ერთი ინდოეთური გაზეთი, სხვათა შორის, ამბობს: „რუსეთმა ყოველის მხრივ გაიმარჯვა. ინგლისის დამცირება ამ რიგად, —თუმცა სამძიმო და სავალალოა ჩვენთვის ამის აღიარება, —არასოდეს არ მომხდარა. ჩვენ ყველანი, ინგლისის ქვეშევრდომნი, ერთგულნი ყმანი ბრიტანიის ტახტისა, შეგვარცხვინეს, დაგვამდაბლეს, დაგვანაცრეს ერთის სიტყვით, და ამ დროს ინგლისის მტერნი ხარხარებენ, უეჭველია, რაკი ხედვენ მისს საბრალო მდგომარეობას, რუსები-კი იმარჯვებენ და გულ-დამშვიდებით დაგვცინიან ჩვენ“.

◆◆ Times-ს სწერენ კალკუტიდამ: „ემირს გაეგზავნა ფულით შემწეობა და ინგლისის ინჟინერებისაგან გამოხატული გეგმა ჰერათის გამაგრებისათვის. ამას გარდა ქაბულში გაიგზავნა 15,000 „ვინტოვკის“ თოფები და თითო ამათთვით ხუთას-ხუთასი მასრები (პატრონი).“

---

### წერილი რედაქტორთან

ბატონო რედაქტორო!

ამ წლის „დროების“ 69 №-ის „შინაურ ქრონიკაში“ დაბეჭდილი იყო ჩემს შესახებ სიცრუვით სავსე სიტყვები, რისათვისაც გთხოვთ ნება მიბოძოთ, ბატონო რედაქტორო, ამ სიტყვების გასამტყუნებლად, მეც ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ და მით გავიმართლო თავი, წინაშე მკითხველი საზოგადოებისა. „ხაშურში, —ბძანებს შენიშვნის ავტორი — დიდი ხანი არ არის დაუნიშნავთ ყურის საგდებლად ერთი ვილაცა ნათათრალი, თუ ნამდვილი თათარი...

ვარწმუნებ პატივცემულ ავტორს, რომ მე არც თათარი გახლავართ და არც ნათათრალი... ჩემი სამშობლო კავკასიონის მთებია და შთამომავლობით ჩეჩენი გახლავარ; თუ თქვენ ჩემი მოქმედება არ მოგწონთ, ილაპარაკეთ მაზედ, და არა ჩემს თათრობასა და ნათათრალობაზედ... ჩემი თათრობა ვგონებ, უფრო იმისთვის მოუგონია ავტორს, რომ დააჯეროს მკითხველი, ვითომც ჩემის შიშით დუქნებში ღორის ხორცს ველარავინა ჰყიდდეს მთელს ხაშურში... რადგანაც მაჰმადიანს ღორის ხორცი აკრძალული აქვს სარწმუნოებით. ამ საგანზედ წინადაც მოგახსენეთ და ეხლაც ვიმეორებ, რომ ღორის ხორცის გაყიდვა არც ამიკრძალვია ვისთვისმე და არც მქონია ამის უფლება, ან განა იმისთანა გულმართალნი არიან, რომ ამ გვარ აკრძალვათა უსაფუძვლობა არ იცოდენ? განა რომელიმე მათგანი აქამომდე საჩივარს არ ამიტეხდა ამის შესახებ მთავრობასთან? უმორჩილესად ვთხოვ ბატონს ავტორს დაასახელოს ერთი რომელიმე მედუქნე, რომლისათვისაც მეღორის ხორცის გაყიდვა ამეკრძალოს? შემდეგ ბძანებს: — „სასმელს თურმე ძალიან ეწყობა“; როდესაც მთვრალია ხოლმე ბრალიანს და უბრალოს გვერდებს უზელავს მათრახითა და ხმლის ყუითაო“. აქ კი როგორც სჩანს ავტორს ჩემი „თათრობა“ დავიწყებია!... მადლობა ღმერთსა! დიდი ხანია მე სასმელი სრულიად აღკრძალული მაქვს და არა თუ სიმთვრალეს ვარ მოშორებული, არამედ ღვინისა და ოტკის წვეთიც-კი არ ჩადის ჩემს პირში... ბოლოს, შენიშვნის ავტორი მოგვითხრობს მაზედ, თუ „როგორ ამოხოცა“ ერთმა ჩემმა ხელქვეითმა, „ჩიხვაძემ“ გლეხები, მერე როგორ შეუბრუნეს მას გლეხებმა ხელი და როგორ დაბეჟეს იგი და ან როგორ მივეშველე ჩემს ხელს-ქვეითს. —ან განგებ არის დამახინჯებული ეს გარემოება და ან ავტორს ნამდვილად არ სცოდნია. აი, საქმე როგორ გახლდათ: ჩიხვაძე შევიდა ერთს დუქანში, სადაც რამდენიმე გლეხი სუფრაზედ ისხდენ და ქეიფობდენ, სვამდენ; ამათში ერია ომაძე, რომელიც პირადის უკმაყოფილების გამო, გადამტერებული იყო ჩიხვაძეზე; მისის რჩევით გლეხებმა მიიპატიჟეს ჩიხვაძე და დაათვრეს, რის შემდეგაც ეცნენ მას, წაართვეს ხმალი, რამდენსამე ნაწილად დაუმტვრიეს, სცემეს რაც ძალი და ღონე ჰქონდათ და გამოაგდეს დუქნიდამ... დაბეჟილი ჩიხვაძე მოვიდა ჩემთან და მთხოვა ამ საქმის გამოძიება და განაჩენის შედგენა: მეც ავდექ და წაველი დუქანში, სადაც დამხვდენ ჩიხვაძის მცემი გლეხები. მედუქნემ მიამბო დაწვრილებით საქმის გარემოება, რის შემდეგაც ოთხი გლეხი გამოვიყვანე დუქნიდამ და მათთან ერთად გავსწიე კანცელარიისაკენ, რომ იქ ოქმი შემედგინა: გზაზედ, შუა ქუჩაზედ, ხელმეორედ მოუვიდათ ჩიხვაძესა და მოხსენებულ ოთხ გლეხს ჩხუბი, რომელიც გამოიწვიეს უკანასკნელთ თვისი უშვერის ლანძღვითა... ბევრი ვეცადე შემერიგებინა იგინი, მაგრამ რადგანაც ვერა გავაწყე რა, დავანებე თავი და სურამის პრისტავს ვაცნობე ყოველივე ამ საქმის გარემოება; ის მოვიდა ხაშურს გამოიძია საქმე შეადგინა ოქმი და სასამართლოში გადასცა. ვკითხავ ახლა მკითხველს, მე აქ ვარ რაშიმე დამნაშავე, თუ არა?

პრაპორშჩიკი ბოგატირევი.

---

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

მაისის 8.

პეტერბურგი. გამოიცა ბრძანებანი სამხედრო და საზღვაო უწყებათადმი რომელთაც ეცხადებათ, რომ ხელმწიფე იმპერატორმა, ზრუნავს რა ოფიცრების საჭიროებაზედ, ბრძანებს მიეცეს მათ ნება ნაკლებ ფასად იარონ ყველა რკინის გზებით კერძო საჭიროების გამო. ფასის შემცირება იმაში მდგომარეობს, რომ ნება აქვთ მესამე კლასის ბილეთით მეორე კლასში ჩასხდენ; ეს უფლებავე ენიჭებათ სათადარიგო (ЗАПАСНЫЙ) ოფიცრებს, რომელნიც ჩარიცხულნი არიან ჯარის ნაწილებსა და დაწესებულებაში, ანუ რომელთაც შეინახეს უფლება ნამდვილის სამსახურისა. მეორე ბრძანებით სამხედრო უწყებისადმი გამოცხადდა ახალი მოწყალება ხელმწიფე იმპერატორისა რომ გადებულ იქმნეს 100,000 მან. ოფიცრების კრებისათვის სახლის დასაქირავებლად.

ზღვის დიდს მანევრებს ამ წელს, ჩვეულების წინააღმდეგ, მაისის დამლევს მოელიან. მანევრები დაიწყობა იმპერატორის თანა-დასწრებით და რამდენსამე დღეს გასტანს.

გაზეთები იწერებიან, რომ ობუხოვს თითბრის ჩამომსხმელს ქარხანას შეეკვეთოს 100 თითბრის ზარბაზანი.

კაველინი გუშინ დაასაფლავეს; დამარხვაზედ დაესწრენ: სახალხო განათლების მინისტრი, ობერ-პროკურორი ნეკლიუდოვი, მრავალნი აკადემიკოსნი, პროფესორნი და სრულიად სამხედრო იურიდიული აკადემია; გვირგვინები 22 იყო; საფლავზედ სიტყვები წარმოითქვა. კაველინი დამარხეს ვოლკოვის სასაფლაოზედ, ტურგენევის გვერდით.

ლონდონი. გაზეთი „Standard“ გვაუწყებს, რომ, როგორც ინდოეთის მთავრობის ცნობებიდამ სჩანს, ავღანის ემირი სასო-წარკვეთილებაში ჩავარდნილაო, რადგანაც რუსეთი იმარჯვებს და ინგლისს კი ძალა არა აქვს შეაყენოს რუსეთის წინ წასვლაო. რადგანაც თვით გაგლენა არა აქვს დასავლეთის ავღანზე, იგი დარწმუნებულია თავის უღონობაში გაუწიოს წინააღმდეგობა მტრის შესევას და თითქოს უფრო ცდილობს მოიპოვოს რუსეთის კეთილ-განწყობილება, მინამ ინგლისზედ დაამყაროს თავის დაცვის იმედები. როგორც ქაბულიდამ იწერებიან, რაც რწმუნების ღირსია, ემირი ემზადება ყოველივე შემთხვევისათვის და ჰგზავნის თავის საკუთარს ჯარებს თავის ქვეშევრდომ საავღანო თურქისტანში, ხოლო ხაზინას ფაიზაბადში.

მაისის 9-ს

პეტერბურგი. ხმებია, რომ აგვისტოს 1-დამ აიყრება ბანაკი კრასნოსელოში და პეტერბურგის მიდამოში არ მოხდება დიდი მანევრებიო, მხოლოდ კიევში-კი დახედვენო ჯარებს.

რომი. გუშინ გაიხსნა ხალხთა-შორისი სანიტარული კონფერენცია ეპიდემიურ სნეულებათა და განსაკუთრებით ხოლერის წინააღმდეგ საერთო ზომების გამოსაკვლევად.

ლონდონი. Standard-ის ცნობავითომ რუსეთი ეწინააღმდეგებოდეს ავღანის საზღვრების გამაგრებას—სიმართლეს მოკლებულია.

სუაკიმიდამ ლონდონისაკენ მიმავალ გვარდიის ბრიგადას ბრძანება მიუვიდა ალექსანდრიაში დაბანაკებისა. Daily News-ი იწერება, რომ ამ განკარგულებისა და ავღანის საზღვრებზე მოლაპარაკების შორის კავშირი სუფევსო.

მაისის 10-ს

პეტერბურგი. სიბირის უნივერსიტეტი გაიხსნება აგვისტოს 26-ს 1886 წ. ყველა ოთხის ფაკულტეტით, დასავლეთ-ციმბირის სამზრუნველო კი ამ წლის ივნისის 1-ს. მართლდება ის ხმა, რომ მზრუნველად ყაზანის უნივერსიტეტის პროფესორი ფლორინსკი ინიშნებაო; ახალს უნივერსიტეტში სწავლულების მისაზიდად განზრახვა აქვთ პროფესორებს საკმაო პრივილეგია მიანიჭონ. ამბობენ, რომ ამ საგანზედ მოლაპარაკება სახელმწიფო რჩევას მალე ექმნებაო.

პეტერბურგის ბირჟის კომიტეტი აცხადებს, პეტერბურგის ნავთ-სადგურის ნავიგაციის გახსნის დღედ გაზრობის მხრით მაისის 1-ლი ითვლება.

დღეს დილით, როდესაც ძალიან დიდი ქარი ჰქროდა, მარსოვის მეიდანზედ ბალახანას ცეცხლი მოეკიდა; დაიწვნენ ერთი დიდი და რამდენიმე პატარა ბალახნები; რამდენიმე ბალახნები წინ-და-წინვე აიღეს: ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერ არ იციან. ხალხი არ დაზიანებულა.

**ორენბურგი.** გუშინ გაიხსნა განყოფილება ორენბურგის გლეხთა საადგილ-მამულო ბანკისა. ამ ახალის დაწესებულებისა დიდი იმედი აქვთ, მით უფრო, რომ გადმოსახლებულთ რიცხვი უფრო მატულობს.

**ლონდონი.** ამბობენ, რომ ავღანის სამზღვრის შესახებ მოლაპარაკება ივნისის ნახევრამდის გასტანსო, ამისათვის რომ ლემსდენი, რომელმაც უნდა მონაწილეობა მიიღოს მოლაპარაკებაში, მხოლოდ ივნისის 16 მოვა ლონდონშიო.

**თეირანი.** სპარსეთის გუბერნატორმა ნება მისცა რუსების ჯარებს გაიარონ სპარსეთის სამფლობელოზედ ტენჯდენის მარტზენის ნაპირზედ და გადავიდნენ ხიდზედ სერახსის ქვემოდ. გუბერნატორი დათანხმდა აგრეთვე გაუშვას რუსის ორი ბატალიონი, რომელნიც მერვის მეციხოვნე ჯარის მისაშველებლად მიდიან.

## ბირჟა

### პეტერბურგი მაისის 10.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— | —$24^3/_{16}$, $24^3/_8$ $24^7/_{32}$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— | — $206^3/_4$, $206^7/_8$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — | — $255^3/_4$, 256 |
| პოლუიმპერიალები | — 8 მ. 15 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები | — 8 მ. 13 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი | — 1 მ. 30 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი— | — 6 და 7% |
| 5% ბილეთები აღმოსავლეთის სესხისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — | — $95^1/_2$ მ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა | — 95 მ. 37 კ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა | — 95 მ. 12 კ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა | — $219^3/_4$ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა | — 207 მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — | — $168^1/_2$ მ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — | —27 წ. 89 მ. გამყ. |
| | 43 წ. $88^3/_4$ მ. გამყ. |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | 18 წ. 91 მ. გამყ. |
| | 43 წ. 90 მ. გამყ. |

## ცნობანი

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 მაისიდამ 15 მაისამდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |

**იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 | გ | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2^1/_2$ |

**ჯვარის-მამის პური:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარის ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ |

**ძროხის ხორცი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი— — — | —1 | გ. | 15 კ |
| ცხვრის ხორცი— | —1 | გ. | 9 კ |

**ღორის ხორცი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | 1 | გ. | |
| მეორისა — | —1 — | გ. | |

# განცხადებანი

კვირას მაისის 19-ს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მმართველობისაგან სათავად-აზნაურო სკოლის დარბაზში დილის 10 საათზედ დანიშნულია

## წლიური კრება

„საზოგადოებისა“

კრების განსახილველად შემდეგი საგნებია დანიშნული:

ა) მოსმენა და დამტკიცება საზოგადოების მოქმედების ანგარიშისა 15 მაისიდამ 1884 წ.—15 მაისამდე 1885 წ.

ბ) მოსმენა და დამტკიცება მოსალოდნელის ხარჯისა და შემოსავლისა მომავალს საანგარიშო წლის განმავლობაში

გ) ამორჩევა მმართველობისა და საზოგადოების ახალ წევრთა.

მმართველობა სთხოვს **„საზოგადოების“** იმ წევრთ, რომელთაც საწევრო ფული ჯერ არ შემოუტანიათ, დააჩქარონ შემოტანა აწ დანიშნულ კრებამდე

(5—4)

---

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის-მოწერისა

## სურათებიან ვეფხის-ტყაოსანზე,

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ეხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ „დროების“ რედაქციაში. ფასი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსნისა, იქნება **რვა მანათიდამ ათ მანათამდე**, ხარჯის კვალობაზე. ხელის-მომწერი ფულის შემოტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი. თბილისის გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსნის“ გამომცემელი

გ. ქართველიშვილი.

(25—16)

---

## საგლობუსო კალმები

### ტურნერისა და ამხ.

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ უსუფთაო ქაღალდზედაც. ერთად ერთი საგენტო ინგლისის მაღაზია—არწრუნისეულს ქარვასლაშია. იქვეა თვით ფაბრიკიდამ მოტანილი ყოველი აუარებელი სხვა-და-სხვა კალმები ყოველ „ხელისათვის“, 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე, აგრეთვე მელანი, ლაქი, ქაღალდი, კანვერტები, ყარანდაშები, რვეულები, კომპასები, ბუმაჟნიკები, მაკრატლები, ტაბაკები (ფოდნოსები), კლიონკები, სტაქნები, გრაფინები, ტანისამოსის ჩამოსაკიდნი, ნაჟდაკი, პატარა ჯოხები, იატაკის საწმენდები, ტანისამოსებისა და თმის შჩოტკები, პირსახოცები, ჰოჭინები (პომოჩები), ალბომები, თოფები, რევოლვერები, სასტვენლები, გრიფილები, ასპიდის ქვის დაფები, ხელის საპნები, ფაიანსის თეფშეულობა, სხვა-და-სხვა ხარისხისა, ყველაფერი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. უნდა გასინჯოთ აგრეთვე კალმები „გამოფენა“ (pen of exhibition, plume de l'exposition) 55 კაპეიკად 144 ცალი, ანუ 5 კაპეიკად თორმეტი ცალი. ინგლისის მაღაზია იმყოფება არწრუნისეულის ქარვასლის №№ 95, 94, 93, 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85.

(100—16)

---

## ინგლისური მაღაზია

Maison de confiance და უდიდესი საწყობი ჩაისა და საქონლებისა თბილისში, იმყოფება არწრუნისეულს ქარვასლაში №№ 95, 94, 93, (92 სამუსიკო მაღაზია ლანკოსი) 91, 90, 89, 88, 87, 86 და 85 რადგანაც ინგლისური მაღაზიის გამგებელი ყოველთვის თვითონ მიდის სამზღვარგარეთ ჩაის საყიდლად და პირველ ხელიდან ჰყიდულობს, ამიტომაც შეუძლია ჰყიდოს უკეთესი ჩაი და უფრო იაფადაც ვიდრე სხვაგან სადმე. დასარწმუნებლად ჩაის მცნობებმა და პირველ მოკრეფილის ჩაის დამფასებლებმა შეადარონ

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩვენი ჩაი | | 1 მან. — კაპ. | ჩაის | სხვაგან | 1 მან 20 დირებულის. |
| ,, | ,, | 1 — 20 — | ,, | ,, | 1 — 50 — |
| ,, | ,, | 1 — 40 — | ,, | ,, | 1 — 80 — |
| ,, | იშვიათი | 1 — 60 — | ,, | ,, | 2 — 20 — |
| ,, | ჩინეთის ყვავილი | 1 — 80 — | ,, | ,, | 2 — 50 — |
| ,, | ფუჩეფუ | 2 — ,, — | ,, | ,, | 2 — 80 — |
| ;, | ფენომენი | 2 — 40 — | ,, | ,, | 3 — ,, — |

ტრაქტირები, ინსტიტუტები, მონასტრები, პანსიონები და სხვანი დიდნი დაწესებულებანი, უეჭველია, დარწმუნდებიან, რომ ვერსად ვერ იყიდიან ასეთს სუნნელოვანს და მაგარს ჩაის ზემო მოყვანილ ფასებად.

### ჩაის ფასი ყოველთვის უქაღალდოდ იქნება

ქალაქს გარეშე მცხოვრებისათვის, ვინც 6-ს გირვ. ნაკლებს არ იყიდის, გასაგზავნს ფასს მაღაზია იკისრებს. იქვე იყიდება 30% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან: ესენცია კაკაოსი, ბისკვიტები, თეფშეულობა, კლიონკა, უნაგირები, ტაბაკები (ფოდნოსები), დანები, მაკრატლები, კალმები, კრაოტები, და სხვ.; ყველაფერი პირველ ხელიდგან—აი საიდუმლო ინგლისური მაღაზიის გასაოცარის წარჩინებისა, რომლის გამო იგი ჰყიდის მრავალის ჩაის, კალმებს, ქაღალდს, კრაოტებს და სხვ.

(100—16)

---

მოსკოვში, პეტერბურგში და სამზღვარს გარედ წასვლის გამო მ. **ცეიტლინის** მაღაზიაში, რომელიც სასახლის პირ-და პირ იმყოფება, დანიშნულია მაისის 12-დამ ივნისის 1-დე გაყიდვა

## დაკლებულის ფასებით

მრავალის ოქროს და ვერცხლის საათებისა, რომელნიც პირად მე გავაკეთებინე შენევის საუკეთესო ფაბრიკების, ფრანცუზულის და ნემეცურის კედლის და სტოლის საათებისა, ამერიკული გამღვიძებლებისა, შვეიცარიულის საკრავის კოლოფებისა, მშვენიერის ხელოვნების ოქროს, ვერცხლის და ბრილიანტის ნივთებისა, აგრეთვე ოქროს, პლატინის, და ვერცხლის ოქროთი და ვერცხლით დაფერილი და მეტალის ძეწკვებისა.

ნივთების კარგს ღირსებასა და სიიაფეზედ საზოგადოება თვით დარწმუნდება (საათები გაიყიდება იმ პირობით, რომ ხუთი წლის განმავლობაში სწორედ ივლიან).

(5—1)

---

## ქუთაისში,

**ივანე ნიკოლაძის მემკვიდრეთა მაღაზიაში** ისყიდება ყოველ გვარი საქონელი, სხვებთან შედარებით იაფად. მაღაზია იმყოფება ბულვარის პირ-და-პირ საკუთარ შენობაში.

(14—13)

Доз. ценз. Тифлисъ, 10 Мая 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა